# "UGVARONI" (THE COMMONERS) IN THE POLITICAL LIFE OF GEORGIA (JIKUR, THE MASTER OF CEREMONIES)

## „უგვარონი“ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (მესტუმრე ჯიქური)

**MAMUKA JOLBORDI**
Ph.D. in History,
Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995599136040, jolbordimamuka@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-9256-0990

**Abstract**. Drawing upon a critical analysis of references in "The Georgian Chronicles" and scientific publications of Georgian researchers, this work evaluates specific aspects of the roles and activities of the non-noble officials within the medieval Georgian monarchy (so-called "ugvaroni" or commoners)—particularly focusing on Jikur, the Master of Ceremonies.

As is known, for a certain period he gained considerable power at the royal court of King David VII Ulu (1247-1270). During the king's prolonged absence at the Mongol horde, he effectively ruled the country alongside Queen Jigda-Khatun, however his temporary rise to power ended very soon, undermined by his humble origins - he fell victim to the monarch's cruelty. In this work, we once again tried to critically re-examine the activities of this energetic, determined and intelligent public figure and demonstrate that he was not a typical "time-server" and unfairly became a victim of the harsh reality of the Georgian feudal era.

**Key words:** Feudal era; "time-server"; "ugvaroni"; Jikur - the Master of Ceremonies.

**მამუკა ჯოლბორდი**
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გორი, ჭავჭავაძის გამზ. #53, 1400, საქართველო,
+995599136040, jolbordimamuka@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-9256-0990

**აბსტრაქტი**. ნაშრომში "ქართლის ცხოვრების" ცნობების და ქართველ მკვლევართა სამეცნიერო პუბლიკაციების კრიტიკული შესწავლის საფუძველზე შეფასებულია შუა საუკუნეების ქართული მონარქიის დაბალი წარმოშობის მოხელეთა, ე.წ. "უგვარონის" - კონკრეტულად კი მესტუმრე ჯიქურის მოღვაწეობის კონკრეტული ასპექტები.

როგორც ცნობილია, მან გარკვეული დროის განმავლობაში მეფე დავით VII ულუს (1247-1270 წწ.) კარზე განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა. მეფის მონღოლთა ურდოში ყოფნის პერიოდში ის დედოფალ ჯიგდა-ხათუნთან ერთად ფაქტობრივად ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას, თუმცა მისი დროებითი აღზევება, სწორედ მისი დაბალი წარმოშობის გამო, ძალიან მალე ტრაგიკულად დასრულდა - იგი ქართველი მონარქის სისასტიკის მსხვერპლი გახდა. ნაშრომში შევეცადეთ კიდევ ერთხელ კრიტიკულად შეგვესწავლა ძალიან ენერგიული, მიზანსწრაფული და გონიერი პოლიტიკოსისა და პიროვნების საქმიანობა და გვეჩვენებინა, რომ იგი არ იყო ტიპიური

"მედროვე" და უსამართლოდ ქართული ფეოდალური ეპოქის მკაცრი სინამდვილის მსხვერპლი გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** ფეოდალური ეპოქა, „მედროვე“, „უგვარონი“, მესტუმრე ჯიქური.

**შესავალი.** შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც ფეოდალური ეპოქის დასავლეთ ევროპაში, სამოხელეო თანამდებობის დაკავების წესები მკაცრად იყო განსაზღვრული - სახელისუფლებო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ წარჩინებული ე.წ. ,,საჩინო“ საგვარეულოების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ,,როგორც საქართველოში პატრონყმობა, ისე დასავლეთ ევროპაშიც ფეოდალური წეს-წყობილება სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების საზოგადო მოვლენა იყო, საერთო თვისება ჰქონდა. იქაც მაშინ ყველანი ფეოდალური დამოკიდებულებით იყვნენ დაკავშირებულნი“ (ჯავახიშვილი, 1982ა, გვ. 249).

თუმცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო ცალკეული შემთხვევები, როცა დაბალი წარმოშობის ესა თუ ის პიროვნება მონარქის კარზე, მისივე ნებიდან გამომდინარე, განუსაზღვრელ ძალაუფლებას ფლობდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ისინი ,,უგვარონისა“ და ,,მედროვენის“ სახელით მოიხსენიებიან.

ვფიქრობთ, ყველა მათგანის ,,მედროვედ“ მოხსენიება, რაც გარკვეულწილად უარყოფითი კონტექსტის მატარებელია, მთლად სამართლიანი არ უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ასეთ დროებით აღზევებულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც განდიდების მანიით შეპყრობილნი ყველანაირ უღირს გზებსა და საშუალებებს იყენებდნენ საკუთარი ანგარებითი მიზნებისათვის და ხშირ შემთხვევაში მტრის სამსახურში დგებოდნენ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება - მესტუმრე [1] ჯიქური ასეთ მოხელეთა რიგს არ განეკუთვნება.

**მეთოდები.** მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ტიპოლოგიურ მეთოდს, მიზეზობრივ-შედეგობრივ ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

**შედეგები და მსჯელობა.** მესტუმრე ჯიქურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ერთადერთ წყაროს ჟამთააღმწერლის თხზულება წარმოადგენს, რომლის ცნობების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა, მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით, მოგვცა ამ მოხელის საქმიანობის პირველი მეცნიერული შეფასება.

ჟამთააღმწერელი, რომელიც ,,ქართლის ცხოვრების“ ავტორთა შორის ერთ-ერთ ყველაზე ობიექტურ წარმომადგენლად ითვლება, თავის თხრობას ჩვენთვის საინტერესო პიროვნების შესახებ ასეთი დახასიათებით იწყებს: ,,იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთა... სხუად არარა ნიჭთა მქონებელი“ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 576). მკვლევარი ჯაბა სამუშია მემატიანის ტექსტის ამ ადგილის საინტერესო წაკითხვას გვთავაზობს: ,,მემატიანე ამ სიტყვებს ისეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მკითხველის ყურადღება არ მიიპყროს, არადა, ეს წინადადება ქურდ-ავაზაკთა ძელზე ჩამოკიდებას მოჰყვება. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჟამთააღმწერელს იმის თქმა სურს - აი, ამ ძალადობის, ტერორის მეტი, მას სხვა არაფრის ნიჭი არ ჰქონდაო. ამ

[1] სახელო ,,მესტუმრე“ მოხსენიებულია როგორც თამარ მეფის ისტორიკოსის, ისე ჟამთააღმწერლის თხზულებებში. ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, ეს თანამდებობა საქართველოში ძველისძველი უნდა იყოს (ჯავახიშვილი, 1982ა, გვ. 273).

სიტყვებში თანამედროვეთა შიში უფრო გამოსჭვივის, ვიდრე მემატიანის ნააზრევი (სამუშია, 2019, გვ. 92).

და თუ ეს ასე არ არის, ვფიქრობთ, მთლად სამართლიანი არ უნდა იყოს მემატიანე, როცა მესტუმრე ჯიქურს ,,გაუნათლებელ" კაცად წარმოგვიდგენს. შეიძლება მას, მართლაც, არ ჰქონდა ,,კლასიკური განათლება", მაგრამ მისი თანამდებობა როგორც განათლებას, ისე გარკვეული ეტიკეტის ცოდნასაც მოითხოვდა - მესტუმრეს, ანუ ,,სტუმართმოყურავს" მოციქულთა, სტუმრებისა და მეძღვნეთა დახვედრა-მიღების თადარიგი ებარა. მესტუმრეთა უფროსს მესტუმრეთუხუცესი ეწოდებოდა და მას, თავის აპარატთან ერთად, უცხოელთა წვევა, მიღება და მოვლა ევალებოდა. ამდენად ისინი გარკვეულწილად ,,დიპლომატიურ სამსახურს" წარმოადგენდნენ (ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, 1999, გვ. 22; ანთელავა, 1991; ანთელავა, 1983).

როგორც სწორად შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი, მეფე დავით VII ულუმ (1247-1270 წწ.) ამ გადაწყვეტილებით ,,საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილება დაარღვია და ურდოში ბათო ყაენთან გამგზავრებისას უბრალო მესტუმრე ჯიქური მწიგნობართუხუცესის მაგიერ სამეფოს უზენაეს გამგებლად გახადა. ,,საქართველოს მეფეების წადილი ის იყო, რომ დიდგვარიან აზნაურ მოხელეთა ურჩობა და ქედფიცხელობა აელაგმათ, იმიტომ, რომ თავიანთი სურვილი განეხორციელებინათ, ისინი დიდგვაროვანი მოხელეების მაგიერ უგვარო ჩამომავლობის, მაგრამ ერთგულ პირებს ნიშნავდნენ ხოლმე"... (ჯავახიშვილი, 1982ა, გვ. 194-195; 247; 273). მკვლევარი ჯაბა სამუშია მესტუმრე ჯიქურის დაწინაურებას ორი ფაქტორით ხსნის - ერთის მხრივ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისით - მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი ანისის პროვინციას მართავდა და ძირითადად იქ იმყოფებოდა, ხოლო მისი მოადგილე ამირეჯიბი კი სამეფოს გაყოფამდე დავით VI ნარინთან (1247-92/93 წწ.) ქუთაისში ცხოვრობდა და მეორეს მხრივ, მისი შეხედულებით, ამ მოხელის აღზევება უშუალოდ მისმა პიროვნულმა თვისებებმა - შორსმჭვრეტელობამ, ენერგიულობამ, პრინციპულობამ და ა.შ. განაპირობა (სამუშია, 2019, გვ. 88-89).

ცნობილია, რომ მონღოლთა საკმაოდ ხანგრძლივმა ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია ფეოდალური საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროს და მათ შორის მმართველობის სისტემასაც. სწორედ ამ დროს ჩნდებიან ე.წ. ,,მედროვეებიც", რომლებიც საკუთარი დაბალი წარმოშობის მიუხედავად, ხშირად გარკვეული დროით ქართველი მონარქების დასაყრდენ ძალად იქცეოდნენ-ხოლმე. ბუნებრივია, მათ კარგად ესმოდათ საკუთარი არამყარი მდგომარეობა, რაც, გარკვეულწილად, განსაზღვრავდა მათ ავანტიურისტულ ბუნებას. ეს გადაწყვეტილება არ იყო შემთხვევითი. როგორც ჩანს, მეფე სათანადოდ აფასებდა ჯიქურის ნიჭსა და შესაძლებლობებს.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ დროებით განდიდებულთა ქედმაღლობა მაინც მყიფე იყო, რადგანაც მათი წარმომავლობიდან გამომდინარე, მეფესაც და მაღალ ფეოდალურ იერარქიასაც ადვილად შეეძლო ასეთი პირების როგორც სწრაფად აღზევება, ისევე დამხობა, რადგან ფეოდალურ საზოგადოებაში მათი რიცხვი მცირე იყო.

იმგვარ ვითარებაში, როცა ქართველ მეფეებს, მონღოლ მმართველებთან ნაკისრი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ხშირად უხდებოდათ მათ შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობა და საკუთარი ქვეყნისა და ტახტის ხანგრძლივი დროით დატოვება, მათ მიერ შერჩეული პირები მათი საქართველოში არყოფნის პერიოდში განუსაზღვრელი და ზღვარგადასული ამპარტავნობით გამოირჩეოდნენ. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში აღზევდა ,,უგვარო", დაბალი სამოხელეო თანამდებობის პირი მესტუმრე ჯიქურიც (ივანე ჯავახიშვილი მას მანდატურთუხუცესის სავაზიროს უწყების მეოთხეხარისხოვან მოხელეს უწოდებს). ქართველი მემატიანის ცნობით, დავით VII ულუმ ბათო ყაენთან გამგზავრების წინ ,,დაუტევა გამგებლად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჯიქურ" (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 60).

მეფის ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, ამ ამბიციური და მიზანსწრაფული მოხელის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ მეფის მოადგილე მწიგნობართუხუცესი და თვით მეფის მიერვე კახეთის მმართველად დატოვებული თორღვა პანკელიც. ის ფაქტი, რომ მეფემ თავის თანამეცხედრეს ჩააბარა ქვეყნის მმართველობა, საქართველოს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო: ,,ასეთი წესი მონღოლებს ჰქონდათ და რაკი დავით ულუს მეუღლე დედოფალი ჯიგდა-ხათუნი მონღოლთა ბატონიშვილი იყო, მაშინ ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში, უცილობლად, ცოლის ძლიერი გავლენის ანარეკლი უნდა ჩანდეს“ (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 60).

მიგვაჩნია, რომ დედოფალ ჯიგდა-ხათუნს, რა თქმა უნდა, თავისი წარმომავლობიდან გამომდინარე, გავლენა ექნებოდა სამეფო კარზე, თუმცა მისი უშვილობა და აქედან გამომდინარე საკუთარი მემკვიდრის არყოლა ამ გავლენას მნიშვნელოვნად შეასუსტებდა. ასე რომ, მესტუმრე ჯიქურის აღზევებას უფრო მეტად მისი ძლიერი პიროვნული თვისებები განსაზღვრავდა, ვიდრე წარმოშობით მონღოლი დედოფლის კეთილგანწყობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერელი ჯიქურის მთავარ ღირსებად მეფისადმი ერთგულებას ასახელებს და, მართლაც, თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში მესტუმრე ჯიქურმა რაც მოახერხა, მხოლოდ მეფისა და ქვეყნის სამსახური იყო - კერძოდ, მან ქაოტურ პოლიტიკურ სიტუაციაში უმკაცრესი ღონისძიებებით შეძლო დანაშაულებრივი ჯგუფების ნეიტრალიზება. მემატიანის სიტყვებით: ,,სრულიად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არა იპოებოდა“. მანვე წარმატებით დროებით გადაჭრა საუკუნეების განმავლობაში არსებული მთისა და ბარის გამწვავებული ურთიერთობის პრობლემა - დაამხო ფხოველთა წინააღმდეგობა, დააგმობინა მათ წარმართობა და განუახლა სახელმწიფო გადასახადები (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 576).

ასევე დაიმორჩილა განდგომილი თორღვა პანკელიც, რომელმაც მეფის დაგვიანებით ისარგებლა, პანკისის ხეობაში გამაგრდა და აღარ ემორჩილებოდა სამეფო კარს. დიდი მცდელობის შემდეგ, მესტუმრე ჯიქურმა ხორნაბუჯელის დახმარებით, მოტყუებით ხელთ იგდო თავსგასული დიდებული და სიკვდილით დასაჯა. რა თქმა უნდა, ასეთი გავლენიანი მოხელის დასჯის გადაწყვეტილების მიღება ჯიქურის მხრიდან იოლად გადასადგმელი ნაბიჯი არ იყო და არა მხოლოდ - საქვეყნოდ გამრიგე თორღვა პანკელის ფიზიკური განადგურება მეფის დაუკითხავად გარკვეულწილად იმდროინდელი ქართული სამართლის უგულებელყოფაც იყო. ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი შეფასებით, ეს ღონისძიებანი ,,მას მაგარი ხასიათის პიროვნებად გვისურათებს... მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში...ცხოვრების პირობებიც ძალზე გადუხჭირდა, ხალხიც კულტურულად დაქვეითდა და ასეთ პირობებში ბოროტი ადამიანების მხეცურმა ბუნებამაც იმდენად იჩინა თავი, რომ, ულმობელი სიმკაცრის გარდა, სხვას არაფერს შეეძლო მისი შეკავება (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 61). მაგრამ, ვფიქრობთ, მესტუმრე ჯიქურის ეს გაბედული ქმედება ემყარებოდა როგორც მეფე დავით VII მისდამი ნდობას, ისე დედოფალ ჯიგდა-ხათუნის მხარდაჭერასაც.

მესტუმრე ჯიქურს დიდი აღმშენებლობითი საქმიანობაც განუხორციელებია - მშვენიერი სამეფო სასახლე განუახლებია ისანში. ვერ დავეთანხმებით ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ასეთი წამოწყებები ,,იმ გაჭირვების ხანაში ადვილი არ იყო და, უეჭველია, სახელმწიფო სალაროსა და ხალხს მძიმე ტვირთადაც უნდა დასწოლოდა (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 62).

რა თქმა უნდა, მონღოლური საგადასახადო სისტემა მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საქართველოს მოსახლეობას და მთლიანად ქვეყანას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების საქართველოს და ხალხს დალხინებული ცხოვრება იშვიათად თუ ჰქონდა, მაშინ, ალბათ, მესტუმრე ჯიქურს ამ სამშენებლო ინიციატივას დანაშაულად ვერ ჩავუთვლით.

თუმცა ძალიან მალე დადგა ტრაგიკული ფინალიც - დედოფალი ჯიგდა-ხათუნი გარდაიცვალა და დავით ულუ დაქორწინდა რაჭის ერისთავ კახაბერიძის ასულ გვანცაზე (ავაგ ათაბაგის ქვრივი), რომელიც, მემატიანის ცნობით, ძალიან დაუპირისპირდა მესტუმრე ჯიქურს: ,,ამას გვანცა დედოფლისა მძიმედ უჩნდა მესტუმრესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს ამისათვს განზრახვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა, ვითარმედ: ჯიქურ წარავლენს კაცთა არღუნის წინაშე, რათა აუწყოს ყაენს ულოს სიმდიდრე მეფისა, და ეგულების განდგომა (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 282).

ჟამთააღმწერლის ამ ცნობაში გამოკვეთილად არ ჩანს, რის გამო სძულდათ ერთმანეთი მესტუმრე ჯიქურს და ახალ დედოფალს, ვინ იყო ამ კონფლიქტში დამნაშავე ან რა იყო ამ დაპირისპირების მიზეზი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ,,ჯიქური გვანცას თუნდაც იმიტომ უნდა სძულებოდა, რომ იგი, როგორც მედროვე, ყველა მისიანების თავზე იყო დასკუპებული (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 63). ჯაბა სამუშია ამ დაპირისპირების მიზეზად თვლის მესტუმრე ჯიქურის გვანცა დედოფლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას - თითქოს მას გვანცას გადედოფლება სასტიკად არ სურდა, დედოფალმა კი ეს ვერ აპატია. ,,როგორც ჩანს, ჯიქური თავის ძალებში გადაჭარბებულად იყო დარწმუნებული და ზომიერების გრძნობა დაკარგა“ (სამუშია, 2019, გვ. 99).

ჩვენი აზრით, ეს იყო არა ახალი დედოფლის კაპრიზი, არამედ საქართველოს მეფესთან ერთად კარგად გააზრებული, დაგეგმილი და მკაფიოდ დაფიქსირებული ანტიმონღოლური განწყობა. სავარაუდოდ, სწორედ დედოფლისა და მისი დასის დიდი მცდელობით გადაწყდა ჯიქურის პოლიტიკური განადგურება და შემსრულებელიც შეირჩა - ეს იყო ინტრიგებში გაწაფული სუმბატ ორბელი, რომელმაც მეფესთან მესტუმრე ჯიქური არღუნ ყაენთან დანაშაულებრივ კავშირში ,,ამხილა“.

ქართველი მემატიანის ოფიციალური ვერსიით, ,,მალემრწმუნმა“ მეფემ ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ღალატის ბრალდებით, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მესტუმრე ჯიქურს - ღამით მეტეხის კლდიდან მტკვარში გადააგდეს, მეორე დღეს თბილისის მოქალაქეებმა იგი რიყეზე მკვდარი იხილეს.

როგორც ქართველი მემატიანე აღნიშნავს: ,,განკვირდეს ყოველნი მხილველნი ანასდათისა სიკვდილისათვს“ (ქართლის ცხოვრება, 2008, გვ. 282).

მეფის გადაწყვეტილება ყველასთვის მოულოდნელი (და ამასთან მიუღებელი) აღმოჩნდა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა უნდა ყოფილიყო დავით VII ულუს მხრიდან მესტუმრე ჯიქურისადმი ჯერ ასეთი ნდობის, ხოლო შემდეგ ასეთი შურისძიების მიზეზი?

საკითხის შესწავლისას, ვფიქრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანია იმ დროს არსებული პოლიტიკური კონტექსტი:

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1242-1245 წლებში ირანის მონღოლთა მბრძანებელ ბაიჩუს უნდოდა საქართველოს მონღოლეთის იმპერიაში ინტეგრაცია. მეფე რუსუდანმა სწორად შეაფასა შექმნილი საშიშროება და ბაიჩუს საპირწონედ ოქროს ურდოს ყაენს ბათუს მიმართა და მისი დახმარებით შეძლო თავის თანამმართველ ვაჟთან დავითთან ერთად თბილისში დაბრუნება. ამის საწინააღმდეგოდ ბაიჩუმ საქართველოს მეფედ თავისი კანდიდატი დავით ულუ გამოაცხადა. კიდევ უფრო გამკაცრდა მონღოლთა უღელი მოსახლეობის აღწერისა (1254) და გადასახადების ახალი სისტემის შემოღებით, რაც საქართველოს ყველა სოციალურ ფენას უმძიმეს ტვირთად დააწვა (მამისთვალიშვილი, 2021, გვ. 250).

ჯაბა სამუშია ბათო ყაენთან დავითის გამგზავრებას 1252-1255 წლების შუალედში, ხოლო ჯიგდა-ხათუნის გარდაცვალებას და გვანცას გადედოფლებას 1253-1254 წლებში (ივანე ჯავახიშვილი გვანცას გადედოფლებას 1251 წლით ათარიღებს) ვარაუდობს. აქედან გამომდინარე, მესტუმრე ჯიქურის გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე, მკვლევრის აზრით, დავით ნარინის აჯანყების შემდეგაა სავარაუდო, ხოლო მისი ზენიტში ყოფნა XIII საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარზე მოდის (სამუშია, 2019, გვ. 95). მესტუმრე

ჯიქურის განადგურება ქრონოლოგიურად დაემთხვა მონღოლთა საყაენოში მიმდინარე მნიშვნელოვან ფაქტებს - ერთის მხრივ, ეს იყო 1254 წლის აღწერა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მათი უღელი (და ამის გამო ქართული სამეფო კარი ძალიან უკმაყოფილო იყო) და, მეორეს მხრივ, 1255 წ. ბათო ყაენის გარდაცვალება. როგორც ჩანს, ამ ცვლილებების ფონზე, ეჭვიანმა მეფემ და მისმა თანამეცხედრემ მესტუმრე ჯიქურის სახით, რომელიც მოქალაქეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მეტოქე დაინახეს და მისი განადგურება გადაწყვიტეს (რამდენიმე წლის შემდეგ იმავე მონღოლებმა აჯანყებული დავით ულუს დასასჯელად აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე სომეხი დიდვაჭარის შადინის აყვანა გადაწყვიტეს). მონღოლთა ბატონობის პირობებში მისი გამეფება სრულიად შესაძლებელი ჩანდა. შესაძლოა, ამგვარ ,,ლეგიტიმაციას“ ჩვენს ქრისტიანულ სამეზობლოში - ბიზანტიაში დამკვიდრებული უზენაესი ხელისუფლების მოპოვების იდეოლოგიური დასაბუთებაც განსაზღვრავდა. [2]

ჟამთააღმწერელი, ფაქტობრივად, ჯიქურს ცილისწამების მსხვერპლად მიიჩნევს. მეფის ასეთი ნაჩქარევი და სასტიკი გადაწყვეტილების მიღება თითქოს ცოტა გასაკვირია. მემატიანე ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ შესაძლოა ეს ყოფილიყო მამაკაცური ეჭვიანობა გარდაცვლილ დედოფალ ჯიგდა-ხათუნსა და ჯიქურს შორის შესაძლო ურთიერთობების გამო, თუმცა, ვფიქრობთ, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, რადგან ასეთი ქმედებისათვის მესტუმრე ჯიქურის დასჯიდან ძალიან მალე ბასილ მწიგნობართუხუცესს ჭორი გაუვრცელეს, რომ მას ესუქნი დედოფალთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა და ,,მალემრწმენმა“ მეფემ გამოუძიებლად მწიგნობართუხუცესი საჯაროდ შუა ქალაქში ძელზე ჩამოაკიდებინა (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 83).

ივანე ჯავახიშვილი მეფის ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევად და უსამართლოდ მიიჩნევდა: ,,მესტუმრე ჯიქური არც ურიგო და უჭკუო მმართველი და არც უგულო ადამიანი ყოფილა... და იგი ერთი მხრივ მეფის წინდაუხედაობის და სისასტიკის და დიდგვაროვანთა

შელახული პატივმოყვარეობისა და უფროს-უმცროსობის წესის დარღვევის მსხვერპლი შეიქმნა (ჯავახიშვილი, 1982ბ, გვ. 65).

ვფიქრობთ, მეფის გადაწყვეტილება არ იყო ცხელ გულზე მიღებული. მისი მხრიდან ეს იყო შეგნებული მოქმედება - ხმაურიანი მკვლელობა და ის არ იყო გამოწვეული არც გვანცა დედოფლის სიძულვილით გარდაცვლილი ჯიგდა-ხათუნისა და მისი ფავორიტისადმი და არც დავით VII ,,მალემრწმენობით“. ქართველ მონარქს კარგად ესმოდა, რომ მესტუმრისათვის მონღოლებთან სავარაუდო თანამშრომლობა (რაც, ჩვენი აზრით, არადამაჯერებელია და რასაც ქართველი მემატიანის ცნობაც ადასტურებს) მისი არ არსებობის შემთხვევაშიც საყაენოს ხელისუფლების ქართველი მეფისადმი კეთილგანწყობის ეჭვქვეშ დაყენებას ნიშნავდა და შესაბამისად სახიფათოც იყო მისთვის. შესაძლოა, ქართველ მონარქს მონღოლ ხელისუფლებასთან დაპირისპირების განზრახვა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და ამ ხმების გავრცელებით ამ კონფლიქტის პროვოცირებას ახდენდა. ამ დაპირისპირებაში დაბალი წარმოშობის, მაგრამ მაშინდელ საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნება ,,განტევების ვაცად“ იქცა და ,,თავი წააგო“. ასე რომ არ

[2] ბიზანტიური სახელმწიფოს იდეოლოგების წარმოდგენით, მათი ქვეყნის საზოგადოება იყო ერთი მთლიანობა - თემი და ამ თემის ინტერესი ნებისმიერი პიროვნების ინტერესზე მაღლა იდგა. ბიზანტიური მოძღვრება მოქალაქეთა თანასწორობის შესახებ, ერთის მხრივ, ეფუძნებოდა როგორც ანტიკურ პოლიტიკურ მოძღვრებებს და რომაული სამართლის ნორმებს, ასევე, გარკვეულწილად, ქრისტიანულ ეთიკასაც, რომლის თანახმადაც ყველა ადამიანი ღმერთის წინაშე თანასწორია. ბასილევსის ძალაუფლება ღვთაებრივია იმის მიუხედავად, რა გზით იქნება ტახტი მოპოვებული - მკვლელობით, მოსყიდვითა თუ ინტრიგებით. ითვლებოდა, რომ ტახტის დაკავება და კორონაცია ღმერთის მიერ იყო განსაზღვრული და მექანიკურად ათავისუფლებდა მას ცოდვებისგან (Каждан, 1967, стр. 155-157).

ყოფილიყო, მესტუმრე ჯიქურის განეიტრალება პირადი ეჭვიანობის საფუძველზე უფრო ,,უმტკივნეულოდაც" სრულიად შესაძლებელი იყო.

**დასკვნა.** უმცირესობაში მყოფი მოხელე დამკვიდრებული ფეოდალური წესების მსხვერპლი გახდა. რა თქმა უნდა, მისი სწრაფვა ძალაუფლებისაკენ ფეოდალურ ეპოქაში იყო გარკვეული ავანტიურა, მაგრამ მას გააზრებული ჰქონდა რას აკეთებდა. სხვა შემთხვევაში ეს ,,სასტიკი მოხელე" ხალხის ასეთ სიყვარულს ვერ მოიპოვებდა და ეს მხარდაჭერა და სიყვარული გულწრფელი რომ არ ყოფილიყო, ვინ გაბედავდა განრისხებული მონარქისათვის შეებედა ,,მოღალატე მდაბიოს" გვამის გადაცემა და ისეთი პატივით დაკრძალვა, როგორც ეს თბილისის მოქალაქეებმა შეძლეს.

ამ დაკრძალვაში მოქალაქეთა პროტესტის ,,ჩუმი ხმაური" ისმის.[3]

## გამოყენებული ლიტერატურა


ანთელავა, ი. (1983). *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს.* თბილისი.

ანთელავა, ი. (1991). *დავითისა და თამარის საქართველო.* თბილისი.

მამისთვალიშვილი, ე. (2021). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია.* V ტ. (XIII-XV სს.). თბილისი.

სამუშია, ჯ. (2019). *დავით ულუ.* თბილისი.

*ქართული დიპლომატიურლი ლექსიკონი.* (1999). ტ. III. თბილისი.

*ქართლის ცხოვრება.* (2008). მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1982)ა. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. VI. თსუ.

ჯავახიშვილი, ივ. (1982)ბ. *თხზულებანი თორმეტ ტომად.* ტ. III. თსუ.

Каждан, А. П. (1967). Государство и церковь во второй половине IX-X вв. *История Византии (в трёх томах).* Т. 2. Москва: Наука.


## REFERENCES


antelava, i. (1983). *sakartvelos tsent'raluri da adgilobrivi mmartveloba XI-XIII ss. [Central and Local Government of Georgia in the XI-XIII Centuries].* Tbilisi.

antelava, i. (1991). *davitisa da tamaris sakartvelo [Georgia of David and Tamar].* Tbilisi.

mamistvalishvili, e. (2021). *sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia [Georgian Foreign Policy and Diplomacy].* Vol. V. (XIII-XV Centuries). Tbilisi.

samushia, j. (2019). *davit ulu [David Ulu].* Tbilisi.

*kartuli dip'lomat'iurli leksik'oni [Georgian Diplomatic Dictionary].* (1999). Vol. III. Tbilisi.

*kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles].* (2008). Editor-in-chief Roin Metreveli. Tbilisi.

javakhishvili, iv. (1982)a. *tkhzulebani tormet' t'omad [Works in Twelve Volumes].* Vol. VI. TSU.

javakhishvili, iv. (1982)b. *tkhzulebani tormet' t'omad [Works in Twelve Volumes].* Vol. III. TSU.

Kazhdan, A. P. (1967). Gosudarstvo i cerkov' vo vtoroj polovine IX-X vv. [State and Church in the Second Half of the IX-X Centuries] *Istorija Vizantii (v trjoh tomah) [History of Byzantium (in three volumes)].* Vol. 2. Moscow: Nauka.


[3] მოგვიანო ხანის ევროპულ ქვეყნებში ხომ სწორედ მოქალაქეთა ფენებმა (ინგლისური ჯენტრი, გერმანული ბიურგერობა, ფრანგული ბურჟუაზია და ა.შ.) განსაზღვრეს ის დიდი ცვლილებები, რომლებმაც შეცვალა არაერთი ქვეყნის განვითარება.